ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2800 ქ. ლანჩხუთი, ოსტროვსკის №37 ტელ. 8210 2 30 05

№05/4
საქართველოს იუსტიციის
სამინისტრო
შეტანილია ნორმატიული აქტების
სახელმწიფო რეესტრში და მინიჭებული
აქვს სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
"16" თებერვალი 2010 წ.
№ 200230.000.35.112.00.2118

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N03

ქ. ლანჩხუთი 9 თებერვალი 2010 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის შემოღების შესახებ

„ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე–16 მუხლის მე–2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „საქართველოს საგადასახადო კოდექსის" მე–10 მუხლის მე–2 ნაწილის თანახმად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ :

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე–16 მუხლის მე–2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „საქართველოს საგადასახადო კოდექსის" მე–10 მუხლის მე–2 ნაწილის თანახმად დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის განაკვეთები.

მუხლი 1. გადასახადის გადახდის ობიექტები:

1. საქართველოს საწარმოსათვის ქონების, გარდა მიწისა, გადასახადის დაბეგვრის ობიექტებია მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივები (გარდა ბიოლოგიური აქტივებისადა საქართველოს რეზიდენტისაგან ლიზინგით მიღებული ქონებისა),დაუმონტაჟებელი მოწყობილობები,დაუმთავრებელი მშენებლობა და არამატერიალური აქტივები, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემული ქონება.
2. უცხოური საწარმოთათვის ქონების, გარდა მიწისა, გადასახადის დაბეგვრის ობიექტებია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ამავე დადგენილების 1–ლი მუხლის 1–ლი პუნქტით განსაზღვრული ქონება (მათ შორის რეზიდენტი პირისათვის იჯარით, ქირით,

უზურფრუქტით ან სხვა ამგვარი სახით ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ქონება).

3. ორგანიზაციისათვის ქონების, გარდა მიწისა, გადასახადის დაბეგვრის ობიექტებია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ამავე დადგენილების 1–ლი მუხლის 1–ლი პუნქტით განსაზღვრული ქონება (მათ შორის რეზიდენტი პირისათვის ოჯარით, ქირით,უზურფრუქტით ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ქონება ქონების ნაწილი, რომელიც გამოყენებულია ეკონომიკური საქმიანობისათვის).

4. ფიზიკური პირისათვის ქონების, გარდა მიწისა, გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (შენობა –ნაგებობები ან მათი ნაწილი), დაუმთავრებელი მშენებლობა ანდა იახტები (კატარღები), თვითმფრინავები, შვეულმფრენები, აგრეთვე არარეზიდენტისაგან ლიზინგით მიღებული ქონება, ანდა ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივები (გარდა ბიოლოგიური აქტივებისა და საქართველოს რეზიდენტისაგან ლიზინგით მიღებული ქონებისა), დაუმონტაჟებელი მოწყობილობები და არამატერიალური აქტივები,აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემული ქონება.

5. საქართველოსა და უცხოური საწარმოსათვის, ორგანიზაციისათვის ან ფიზიკური პირისათვის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით:

ა) საკუთრებაში არსებული მიწა;

ბ) კანონით გათვალისწინებულ სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში მყოფი,სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა.

მუხლი 2. გადასახადის განაკვეთები.

1. ამ დადგენილების 1–ლი მუხლის 1–ლი, მე–2 მე–3 პუნქტებით განსაზღვრულ დასაბეგრ ობიექტებზე გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისის და ბოლოსთვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით) –1 % –ის ოდენობით. (საფუძველი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 273 მუხლის 1 ნაწილი)

2. ამ დადგენილების 1–ლი მუხლის მე– 4 პუნქტით განსაზღვრულ ფიზიკური პირისათვის დასაბეგრ ქონებაზე, გარდა მიწისა, გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით და განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

ა) 100 000 ლარამდე შემოსავლების მქონე ოჯახებისათვის საგადასახადო პერიოდის ბოლოსათვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების – 0,05 %.

ბ) 100 000 ლარისა და მეტი შემოსავლების მქონე ოჯახებისათვის საგადასახადო პერიოდის ბოლოსათვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების – 0,8 %.

(საფუძველი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 272 მუხლის მე–2 ნაწილი).

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთი განისაზღვროს :

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლებში არსებული სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწებისათვის გადასახადის განაკვეთი განისაზღვროს :

კარგი მიწებისათვის – 30 ლარით ჰექტარზე.

მწირი მიწებისათვის – 15 ლარით ჰექტარზე.

(საფუძველი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 273 მუხლის მე–6 ნაწილის „ ა „ ქვეპუნქტი).

ბ) ბუნებრივი სათიბებისათვის და საძოვრისათვის

საბაზისო განაკვეთი (ლარი /ჰა)			
სათიბი	საძოვარი	გაკულტურებული	
		სათიბი	საძოვარი
6	3	8	4

(საფუძველი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 273–ე მუხლის მე–6 ნაწილის „ბ „ ქვეპუნქტი).

გ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი გამოიანგარიშება გადასახადის საბაზისო განაკვეთის გამრავლებით ტერიტორიულ კოეფიციენტსა და მიწის ნაკვეთის ფართობზე, ფორმულით:

მქგ = [(მ/ფX გსგ) X ტ/კ]

მქგ -მიწაზე ქონების გადასახადის ოდენობა;

გსგ - გადასახადის საბაზისო განაკვეთი;

ტ/კ - ტერიტორიული კოეფიციენტი;

მ/ფ - მიწის ფართობი კვ.მ-ში.

დ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი განისაზღვროს წელიწადში ერთ კვადრატულ მეტრზე: 0,0912 ლარი.

მუხლი 3. ქონების გადასახადების გადახდა და ბიუჯეტში მისი ჩარიცხვა ხდება „ საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ შესაბამისად.

2. ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2009 წლის 29 აპრილის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის შემოღების შესახებ“ N21 დადგენილება.

3. დადგენილება რეგისტრაციისათვის გადაეგზავნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედების დეპარტამენტის ექსპერტიზის სამმართველოს გურიის განყოფილებას.

4. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს თავმჯდომარეს.

5. დადგენილება ძალაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებიდან მე–15 დღეს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე დავით პეტრიაშვილი

05/4